საქართველოს მთავრობის

დადგენილება №418

2016 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ

მუხლი 1

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს:

ა) ფიზიკური პირების „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ აბონენტებად განსაზღვრა შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტ(ებ)ის მიერ მიწოდებული, საკუთარი აბონენტების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლების) პირადი ნომრების, გვარებისა და აბონენტის ნომრების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ყოველი თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით არსებულ მონაცემებთან – პირად ნომრებსა და გვარებთან შედარების საფუძველზე;

ბ) 2017 წლის 1 იანვრიდან ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ყველა აბონენტის (მიუხედავად ერთი ფიზიკური პირის აბონენტად რეგისტრაციის რაოდენობისა) მიერ ყოველთვიურად (30 კალენდარული დღე) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების 50%-ის ოდენობით ანაზღაურება, შესაბამისი პერიოდის ფაქტობრივი მოხმარების ოდენობიდან გამომდინარე, ნორმატიული აქტით მისადაგებული სამომხმარებლო ტარიფით გაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ერთ აბონენტზე თვეში 100 კვტ. სთ ელექტროენერგიის საფასურისა. ანაზღაურება განხორციელდეს შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტის მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის დადგენილება №142 - ვებგვერდი, 27.03.2017წ.

მუხლი 2

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრზე წვდომა.

მუხლი 3

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ფინანსთა სამინისტროებმა უზრუნველყონ შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ამ დადგენილების პირველი მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესასრულებლად საჭირო სახსრების გათვალისწინება.

მუხლი 4

ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ეთხოვოს/ეთხოვოთ შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტ(ებ)ს „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლების) შესახებ ინფორმაციის (პირადი ნომრები, გვარები და აბონენტის ნომრები) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის დადგენილება №142 - ვებგვერდი, 27.03.2017წ.

მუხლი 4[1]

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს

დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ანგარიშის (ასანაზღაურებელი თანხა) და მე-4 მუხლით წარდგენილი მონაცემების სისწორის შემოწმება და/ან რაიმე სახის კორექტირება.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის დადგენილება №142 - ვებგვერდი, 27.03.2017წ.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**